რუსეთი-საქართველო:
ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები

სამუშაო რვეული

კონფლიქტებისა და
მოლაპარაკებების
საერთაშორისო
კვლევითი ცენტრი

რუსეთის
საერთაშორისო
ურთიერთობათა
საბჭო

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო

რუსეთი-საქართველო:
ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები

სამუშაო რვეული

თბილისი
2015

საერთო რედაქცია:
მამუკა არეშიძე – კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის „საქართველო-რუსეთის დიალოგის ხელშეწყობის“ პროექტის კოორდინატორი
ივან ტიმოფეევი – რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს პროგრამების დირექტორი, პოლიტ. მეცნ. კანდიდატი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრისა და რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს პუბლიკაცია

წიგნი გამოქვეყნებულია კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის „საქართველო-რუსეთის დიალოგის ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით

წიგნზე მუშაობდნენ: **ნ. ვერძაძე**, **ა. ელისეევი**

კომენტარები გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართებზე:
www.iccn.ge; welcome@russiancouncil.ru

პუბლიკაციაში გამოთქმული აზრები ავტორთა პირადი შეხედულებები და კვლევითი პოზიციებია და, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრისა და რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს პოზიციებს

ISBN 978-99928-937-0-8

Copyright 2015 by ICCN, RIAC

საავტორო უფლებები დაცულია. ცალკეული სტატიის გამოყენების დროს აუცილებელია წიგნის დასახელებისა და შესაბამისი ავტორის სახელის მითითება

შინაარსი

მიხეილ თოქმაზიშვილი
რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური
თანამშრომლობის სავარაუდო მოდელები საქართველოს სპეციფიკურ
ეკონომიკურ ზონებში 5

ანდრეი სუშენცოვი
ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები საქართველოსა და
რუსეთის ურთიერთობებში 18

მიხეილ თოქმაზიშვილი

რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სავარაუდო მოდელები საქართველოს სპეციფიკურ ეკონომიკურ ზონებში

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში რუსეთსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა უაღრესად წინააღმდეგობრივი და რთულია. ორ ქვეყანას შორის კოოპერირება წარმატებულად სულ რამდენიმე სფეროში ვითარდება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ვაჭრობა და ნაწილობრივ საინვესტიციო პროექტები. რუსეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა მეცნიერება, კვლევები, განათლება, ტურიზმი, ჯანდაცვა, სახელმწიფო მართვა და ა.შ. ვითარდება მდორედ, ან საერთოდ არ არსებობს.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები ვაჭრობის გაფართოებისათვის, თუ ადრე ექსპორტი მხოლოდ რუსეთიდან იყო შესაძლებელი, ახლა ამ ქვეყნის ბაზარი ქართული პროდუქციისთვის ხელმისაწვდომი გახდა (პირველ რიგში, ღვინის ნაწარმი და მინერალური წყლები). ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რუსულ-ქართული ურთიერთობების კლიმატი, რაც დადებითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე. 2012-1013 წწ. ექსპორტი საქართველოდან რუსეთში 4,2- ჯერ გაიზარდა, ხოლო იმპორტი 1,2- ჯერ. საქართველოს საერთო ტვირთბრუნვაში რუსეთის წილი 7,2% -ია აქედან გამომდინარე ეს ქვეყანა ისევ გახდა საქართვე-

ლოს ერთ-ერთი წამყვანი სავაჭრო პარტნიორი თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის შემდეგ. თუმცა, რუსეთიდან იმპორტი თითქმის სამჯერ აღემატება საქართველოდან ექსპორტს, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კი მძიმედ აისახება საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე. მრავალი საექსპორტო საქონლისთვის[1] საქართველოდან რუსეთში ექსპორტი კვლავ შეზღუდულია.

2014 წლის ივნისში საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის შემადგენელ ნაწილს ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის დოკუმენტი წარმოადგენს, მოსალოდნელია EU 28 ქვეყნის მიერ საქართველოსთან სავაჭრო რეჟიმების და უტარიფო ბარიერების გადახედვაც. მეორე მხრივ, არსებობს საქართველოს რუსეთისგან და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის (ეეკ) სხვა ქვეყნებისაგან (სომხეთი, ყაზახეთი, ბელორუსი) ეკონომიკური თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტად დაშორების რისკი. ეეკ-ს წევრებისათვის რუსეთი ქმნის შეღავათიან პრეფერენციებს, თუმცა ყველა წევრი-სახელმწიფო არ არის კმაყოფილი ეეკ-ით (საბაჟო კავშირი). მაგალითად, ბელორუსიისთვის „ურთიერთბრუნვისათვის ცუდი პირობების შექმნის გამო საბაჟო კავშირი უსარგებლო გახდა“.[2] ამასთან, ეეკ-ი, თავის ინტერესებიდან გამომდინარე, დაბრკოლებებს შეუქმნის საქართველოს, რამაც შესაძლოა კავკასიის ბაზრის კიდევ უფრო მეტი დანაწევრება გამოიწვიოს. სომხეთს ეეკ-ი აძლევს რიგ პრეფერენციებს, მაგრამ, ვინაიდან ამ ქვეყნისთვის ერთადერთი სავაჭრო გზა საქართველოზე გადის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების სავარაუდო გაუარესებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ეკონომიკაზე. მოუგვარებელმა პოლიტიკურმა საკითხებმა, რეგიონის ბაზრების კიდევ მეტმა დანაწევრებამ, შესაძლებელია ხელი შეუშალოს პოლიტიკური დაძაბულობის გრადუსის დაწევის პროცესს.

ინვესტიციების სფეროში რუსეთის და საქართველოს ურთიერთობები ინერციით ვითარდება. რუსეთის კაპიტალს საქართველოში არასოდეს ექმნებოდა ბარიერები, მაშინაც კი, როდესაც პოლიტიკური

---

1 დადებითად შეიძლება შეფასდეს 2015 წლის დასაწყისში, რუსეთის ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარის ზედამხედველობის სამსახურისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს მიეცა საშუალება რუსეთში შეიტანოს მწვანილი.

2 Антон Ходасевич.Таможенный союз добил белорусскую экономику. Независимая. 26.08.2013. http://www.ng.ru/cis/2013-08-26/1_belorussia.html

ვითარება დაძაბულობის პიკს აღწევდა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს საზოგადოების პოზიცია რუსული ინვესტიციების მიმართ საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო, ამ ქვეყნის ინვესტიციების დაბანდება მაინც ხდებოდა საქართველოში, განსაკუთრებით სტრატეგიულ ობიექტებში, მაგალითად ენერგეტიკის სექტორში. რუსულმა ინვესტიციებმა 2011 წელს 55.4 მილიონ დოლარს მიაღწია, ხოლო 2013 წლისათვის 2,0 მილიონ დოლარამდე შემცირდა. ამასთან, რუსული ინვესტიციების წილი საქართველოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში არც ისე მნიშვნელოვანია 2011 წელს – 0,04 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2013 – 2,5-ჯერ ნაკლები. შესაბამისად, რუსეთისთვის არა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებში ინვესტირება არ არის მომხიბვლელი, რაც ნაწილობრივ შეიძლება რუსეთის საქმიანი წრეებისათვის ინფორმაციის მიწოდების დეფიციტითაც ავხსნათ.

სპეციფიკური ზონები როგორც თანამშრომლობის პირობა საქართველოს „დეპრესიულ“ რეგიონებში პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისათვის

პოლიტიკური დაძაბულობა ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. ტრივიალურია ვამტკიცოთ, რომ რეგიონში არ შეიძლება იყოს მშვიდობა თავისუფალი ვაჭრობისა და თანამშრომლობის გარეშე. მყარი სტაბილურობისა და უსაფრთხოების პროცესის შექმნა, მხოლოდ რუსეთ-საქართველოს შორის სხვადასხვა სფეროში ეკონომიკური თანამშრომლობით მიიღწევა. დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, არსებობს გარკვეული შესაძლებლობები, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის.

ვაჭრობა, როგორც ეკონომიკური თანამშრომლობა, გულისხმობს არა მარტო რესურსების გაცვლას, არამედ წარმოების და განაწილების სრულ სპექტრს. ეს არის კონკურენტული სფერო და ერთიან ბაზარში ინტეგრაცია ქვეყნებს სამართლიანი კონკურენციის შესაძლებლობას აძლევს. თეორიულად, ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანია მეზობელ ქვეყნებთან კოოპერაცია და ვაჭრობა, თუმცა ამისთვის კავკასიაში შეზღუდული შესაძლებლობაა. დანაწევრებული ტერიტორიები და სეპარატიზმი ნეგატიურ გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკაზე, კავკასიის ქვეყნების პოლიტიკაც და ეკონომიკაც სამწუხაროდ მთლიანადაა დამოკიდებული გადაუწყვეტელ და „გაყინულ“კონფლიქტებზე. საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის ძირითადი სავაჭრო გზები გადის ერთმანეთისაგან გარიდებულ რეგიონებზე, შედეგი – ტვირთების

გაძვირებაა. არ არის გასაკვირი, რომ თუ საქართველო იკავებს წამყვან ადგილს „Doing Business"-ის რეიტინგში (შედის პირველ ათეულში), გადაზიდვების ფასში მისი რეიტინგი არც ისეთი მაღალია (1335 დოლარი 1 კონტეინერი). უფრო უარესად გამოიყურებიან სომხეთი – (1885 დოლარი) და რუსეთი (2705 დოლარი). მოწინავე ადგილზე თურქეთია, რომელსაც რუსეთზე სამჯერ ნაკლები ხარჯები აქვს ექსპორტის ღირებულებაზე (990 დოლარი). ამიტომაც, არ არის გასაკვირი, რომ თურქეთი გახდა გადაზიდვების მხრივ დომინანტი საქართველოს მთელ სივრცეში. აფხაზეთშიც კი, რომელიც თითქოს მთლიანად ინტეგრირებულია რუსეთთან, თურქულმა სატრანსპორტო კომპანიებმა (სოჭიდან სტამბოლამდე გზას თურქული საზღვაო ტრანსპორტი ემსახურება) მთლიანად აითვისეს საზღვაო მარშრუტები, ხოლო თურქეთსა და აფხაზეთს შორის საქონელბრუნვა აფხაზეთის სრული სასაქონლო ბრუნვის 15 %-ს შეადგენს.[3] საქართველოს შიდა სამომხმარებლი ბაზარზე თურქეთი ლიდერი ქვეყანაა. სუსტი ინფრასტრუქტურის, საბაჟო დაბრკოლებებისა და გაყინული სატრანსპორტო მიმოსვლის გამო, აფხაზეთში რუსეთთან ვაჭრობა ხდება დაბალკონკურენტუნარიანი, რასაც მივყავართ კავკასიაში რუსეთის ეკონომიკური როლის შემცირებასთან.

საქართველოს ძირითადი უპირატესობა მისი გეოგრაფიული მდებარეობაა, მის ტერიტორიაზე გადის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც აერთიანებს ევროპასა და აზიას, ჩრდილოეთსა და სამხრეთს, რაც განაპირობებს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას. აფხაზეთის ტერიტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთთან ეკონომიკური კავშირისთვის, მაგრამ კონფლიქტური სიტუაციის გამო საქართველოსთვის ამ შესაძლებლობების გამოიყენება დღეისათვის შეუძლებელია.

1992-1993 წწ. აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ოფიციალურად დაიწყო „ამბოხებული" რესპუბლიკის[4] ეკონომიკური ბლოკადა, რომელიც თითქმის 12 წელს გაგრძელდა, სანამ რუსეთმა

---

[3] აფხაზეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. http://www.tppra.org/ru/publikacii/analiticheskaya-spravka-o-sostoyanii-otrasli-torgovli-ra-za-1-kvartal-2014-g#sthash.UP9Ca10e.dpuf
სხვა წყაროებით თურქეთის აფხაზეთთან ტვირთბრუნვა აღწევს დაახლოებით 600 მლ.დოლარს (S. Kapanadze. Turkish trade with Abkhazia: An apple of discord for Georgia. Daily News. January 29.2015. http://www.hurriyetdailynews.com/turkish-trade-with-abkhazia-an-apple-of-discord-for-georgia.aspx?pageID=449&nID=76148&NewsCatID=396)

[4] დსთ-ს მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილება – „აფხაზეთში საქართველოს კონფლიქტის დარეგულირების ზომების შესახებ." 1996 წ. 19 იანვარი.

ცალმხრივად არ თქვა უარი აფხაზეთის ბლოკადაზე და დსთ-ს მეთაურების საბჭოს 1996 წ. 19 იანვრის გადაწყვეტილებაზე – „აფხაზეთში საქართველოს კონფლიქტის დარეგულირების ზომების შესახებ.“[5] თუმცა, ბლოკადის დროსაც კი, რუსეთის მიერ არაოფიციალურად მოიხსნილი იყო აკრძალვა აფხაზეთის მოსახლეობისათვის რფ-ის საზღვრის გადაკვეთაზე, აღდგა სახმელეთო ტვირთების გადაზიდვა ფსოუს გამშვებ პუნქტზე, დაიწყო ტურისტულ – საექსკურსიო თანამშრომლობა რუსეთის რეგიონებსა და აფხაზეთს შორის, რუსი ბიზნესმენები კი ინვესტიციებს დებდნენ აფხაზეთის ეკონომიკაში. პრაქტიკულად რფ ნაბიჯ-ნაბიჯ აუქმებდა ეკონომიკურ სანქციებს.

იმ პერიოდში, სტიქიურად და არალეგალურად შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის მოდელი აფხაზეთი-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სოხუმი კრძალავდა ეკონომიკურ ურთიერთობებს საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან, პირობით საზღვარზე არ წყდებოდა არასანქცირებული ვაჭრობა სოფლის მეურნეობის, საკვები პროდუქტებით, ჯართით და სხვა. ასეთი მდგომარეობა შენარუნებულია დღემდე. არსებული ვითარება უკმაყოფილებას იწვევს აფხაზურ ადმინისტრაციაშიც და თბილისშიც, თუმცა, ასეთი სახის ვაჭრობაზე ოფიციალური თბილისი თვალს ხუჭავს, ვინაიდან, ეს ფორმატი სამშვიდობო პროცესის განვითარების ხელშემწყობია.

მიუხედევად იმისა, რომ თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს ქვეყანაც აფხაზეთთან არასანქცირებულ ვაჭრობას ეწევა. კერძოდ, თურქული გემები არალეგალურად შედიან აფხაზეთის პორტებში, წინა წლებში ქართული მხარის მიერ გემების დაკავება და მათი დაჯარიმება (ზოგჯერ სატრანსპორტო საშუალებები კონფისკაციასაც კი ექვმდებარებოდა) ოფიციალური თურქეთის უკმაყოფილებას იწვევდა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით და თურქეთთან კარგი ურთიერთობების შესანარჩუნებლად, როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორთან, ბოლო დროს საქართველოს მთავრობა აფხაზეთთან მის ვაჭრობას ლმობიერად უყურებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ აღიარებს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ჩვენი აზრით, ფაქტობრივი

---

[5] რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2008 წ.6 ივნისის განცხადება დსთ-ს მეთაურთა საბჭოს 1996 წ. 19 იანვრის გადაწყვეტილებაზე ცალმხრივი უარის შესახებ.

სტატუს-კვოს აღიარება და არსებული სავაჭრო სივრცეებისათვის სპეციალური ზონების სტატუსის მინიჭება არალეგალური ურთიერთობების ხასიათს შეცვლიდა, რაც ყველა მხრიდან კოოპერირების სტიმულირებას მოახდენდა. სპეციალური ეკონომიკური ზონები შეიძლება იქცეს მშვიდობიანი სამეურნეო ინტეგრაციის ინდიკატორებად.

საქართველოს, უკვე ერაერთხელ ჰქონდა შეხება არაფორმალურ ვაჭრობასა და სტიქიურად შექმნილ სავაჭრო ზონასთან. ასეთი, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე აღმოცენებული „ერგნეთის ბაზრობა“ იყო, სადაც ვაჭრობა ორმხრივი საზოგადოებრივი კონსენსუსით შედგა, სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ერგნეთის ბაზრობა გახდა რეგიონალური „ჰაბი“, სადაც ერთგვარი „თავისუფალი ეკონომიკური ზონა“ ჩამოყალიბდა. საზოგადოება გაერთიანდა ეკონომიკური მოგებისა და კეთილდღეობის გარშემო, ბაზრობამ 2006 წლამდე იარსება. მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ მოინდომა ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო კონტროლის აღდგენა, ერგნეთის ბაზრობამ, როგორც თავისუფალი ვაჭრობის ადგილმა და „კონტრაბანდის ბუდემ“, რომელსაც არ მოჰქონდა ფისკალური ეფექტი სახელმწიფოსთვის, არსებობა შეწყვიტა. მაშინ არ არსებობდა პოლიტიკური ნება იმისათვის, რომ ამ ბაზრობას მიცემოდა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ლეგალური სტატუსი, რაც ნეგატიურად აისახა ზემოთ აღნიშნულ პროცესში მონაწილე ყველა მხარეზე.

თავისუფალი ზონები არის ეროვნული ეკონომიკის განსაკუთრებული ნაწილი, თავისი დადებითი მხარეებითა და სტიმულირების სისტემით . ასეთი ზონების შექმნა პოლიტიკურად და განსაკუთრებით ეკონომიკურად მიზანშეწონილია „დეპრესიულ“ რეგიონებში, ჩვენს შემთხვევაში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, იქ სადაც იკვეთება საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ინტერესები.

ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე რაიონებში კოოპერაციის დიდი შესაძლებლობებია. აფხაზეთის გვერდით შენდება ანაკლიის ახალი მრავალფუნქციური პორტი, შენდება საერთაშორისო აეროპორტი, საავტომობილო გზები, რკინიგზა – ეს ყველაფერი შეიძლება გამოყენებული იყოს ინტეგრაციული მიზნებისთვის და მხარეების კოოპერირებისთვის. პორტს ექნება სამრეწველო ზონა, ინოვაციურ – ტექნოლოგიური და ეკოლოგიური პარკი, რომელიც გახდება იმ კომპანიების სტრატეგიული ცენტრი, ვისაც უნდა მოგება ნახოს ახალი ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების განვითარებისგან, ვინც ხელს

უწყობს ეკოტურიზმის განვითარებას და ა.შ., აქვე გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა, კვლევითი, სამეცნიერო- საგანმანათლებლო სერვისები. ამ სივრცეში შეიძლება შეიქმნას თავისუფალი ინდუსტრიული, ან თავისუფალი ვაჭრობის ზონა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური საკითხების მოგვარებას, პოლიტიკური წინააღმდეგობების მოგვარებას ან შერბილებას.

სპეციფიკური სტატუსის ზონებს შეუძლიათ დადებითი გავლენა იქონიონ კონტრაბანდის და არალეგალური ვაჭრობის საკითხის გადაწყვეტაზე. ამასთან, აფხაზეთის ტერიტორიის მიმდებარე ნაწილმაც, ასევე უნდა მიიღოს სპეციფიკური ზონის სტატუსი და დაექვემდებაროს განსაკუთრებულ რეჟიმს. ეს საკითხი შესაძლებელია გახდეს დაინტერესებული მხარეების დისკუსიის საგანი, მათ შორის – რუსეთისაც. ასეთმა მიდგომამ შესაძლია პოზიტიური გავლენა იქონიოს რუსეთის, როგორც კონფლიქტის მოგვარების პროცესის ხელშემწყობის იმიჯზე. ეს პროექტი შესაძლებელია გახდეს გამაერთიანებელი რგოლი რუსულ-ქართულ ინტერესებისათვის და აფხაზეთის საქმიანი წრეებისთვის.

„დეპრესიულ“ რეგიონებში თანამშრომლობის პოზიტიური შედეგები

მოსაზღვრე რეგიონებს შორის არსებული სპეციფიკური ზონის ერთობლივი ადმინისტრირება შეიძლება მოხდეს ადგილობრივი თვითმართველობების მეშვეობითაც. ასეთი მიდგომა მაღალი ალბათობით გაამართლებს „დეპრესიულ რეგიონების“ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) და მათი მიმდებარე ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებადი რაიონების (სამგრელო, შიდა ქართლი) თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობის შემთხვევაში. ამ პროცესმა შესაძლებელია ინვესტიციების მოზიდვას შეუწყოს ხელი.

ამჟამად, მოსკოვი, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში აფინანსებს ე.წ. „არაწარმოებით სფეროს“. განუვითარებელი ეკონომიკის გამო, რუსეთის ფინანსური ინექციები, ამ რეგიონების მოსახლეობისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. რფ-ის ფინანსები იხარჯება სოციალურ განვითარებაზე, საპენსიო უზრუნველყოფასა და თავდაცვაზე. რუსეთის ხარჯები თავდაცვაზე როგორც აფხაზეთში, ასევე სამხრეთ ოსეთში, ამ რეგიონების მთელ ბიუჯეტზე და მშპ-ზე მეტია. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის კეთილ-

დღეობა არ არის დამოკიდებული მათი საკუთარი ეკონომიკის მდგომარეობაზე. არაწარმოებითი ფინანსური ხარჯების შესამსუბუქებლად, ეფექტური იქნება სპეციფიკური ზონების შექმნა, სადაც აქცენტი გაკეთდება გადამამუშავებელ სექტორზე, ეს პროცესი ხელს შეუწყობს ეკონომიკური ინტერესების დომინირებას. აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმატის შექმნის შემთხვევაში, სამხედრო ხარჯების შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული რესურსების გამოყენება შესაძლებელი იქნება ინფრასტრუქტურული მშენებლობისა და ერთობლივი საწარმოების შექმნისათვის. მომავალში საქართველოს და რუსეთის ეგიდით საზღვრისპირა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა – საზღვრის გახსნა, სასაზღვრო ვაჭრობის განვითარება, რეგიონებს შორის პირდაპირი კავშირის დამყარება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობა – მშვიდობიანი თანამშრომლობის უნიკალური მაგალითი გახდება.

კონფლიქტები მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენენ რუსეთისა და საქართველოს სასაზღვრო რაიონების განვითარებაზე. თავისუფალი სავაჭრო ზონა შეამცირებს დაძაბულობას ამ რეგიონებში და შექმნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს, რომელიც სავარაუდოდ მშვიდობის გარანტი გახდება. ეს კი, თავის მხრივ გამოიწვევს ამ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ხარჯების შემცირებას და ხელს შეუწყობს სამშვიდობო ინიციატივებსა და სტაბილურობის ეფექტურ დონეს.

სპეციფიკურ ზონებში ღია ეკონომიკის პოლიტიკა დააჩქარებს ტექნოლოგიების მოდერნიზაციის პროცესს, განავითარებს მომსახურების სერვისებს (ტურიზმი, ტრანსპორტირება და ა.შ.). თავისუფალი ეკონომიკური ზონის შეუცვლელი „ინვესტორი“ შეიძლება გახდეს პოლიტიკური კაპიტალი რუსეთიდან და საქართველოდან, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური კაპიტალის დაბანდების სტაბილურობასა და სანდოობას. წარმატების წინაპირობას წარმოადგენს: იაფი მუშახელის არსებობა, სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, პორტები, შავ ზღვასთან სიახლოვე და ა.შ.

გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობაში ფინანსური და ადმინისტრაციული პრეფერენციების მეშვეობით, ევროკავშირის არაწევრებიც შეძლებენ განახორციელონ კომერციული საქმიანობა თავისუფალი ზონის ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს საბაჟო კავშირისა და ევროკავშირის დაახლოებას.

რუსეთს აქვს სპეციფიკური ზონების არსებობის გამოცდილება, მაგალითად: კალინინგრადისთვის სტატუსის შეცვლამ შექმნა მომგებიანი ფორმატი გერმანიასთან, პოლონეთსა და ლიტვასთან თანამშრომლობისთვის. ტრანსრეგიონალური კავშირების გააქტიურებამ, კარელიასა და ფინეთს შორის, გამოიწვია არა მარტო წინააღმდეგობების შემცირება, არამედ ხელი შეუწყო რუსეთსა და ფინეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური თანამშრომლობა და „ღია ეკონომიკის“ ფორმატი ასრულებს ხალხებს შორის დიალოგის აქტივიზაციის უმნიშვნელოვანეს როლს.

რა შემთხვევაში შეიძლება აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა

აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარეები მხარს დაუჭერენ თავისუფალი ვაჭრობის ზონის მოდელს. არსებობს რკინიგზის ზუგდიდიდან ანაკლიამდე მშენებლობის გეგმა, თუ გადაწყდა მასთან აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის შეერთება, მაშინ აფხაზურ და რუსულ კომერციულ ორგანზაციებს ანაკლიის ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობა მიეცემათ. განსაკუთრებით, მათთვის სარფიანი იქნება ევროპაში ტვირთების ტრანსპორტირება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში.

ამჟამად გადაზიდვები აფხაზეთის გავლით მთლიანად შეწყვეტილია, რაც უარყოფითად მოქმედებს რუსეთის, საქართველოსა და სომხეთის კონკურენტუნარიანობაზე. ამ გზის აღდგენა სამივე ქვეყნის გეოპოლიტიკურ ინტერესებში შედის. ის რუსეთის, სომხეთთან და ირანთან პირდაპირი სახმელეთო კავშირის დამყარების საშუალებას იძლევა. თბილისსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ საზღვარზე განლაგებული „ანაკლია-განმუხური-გალი-ზუგდიდი“ სპეციფიკური ზონებისგან მიღებული სარგებელი ბევრად უფრო ხელშესახები გახდება. შესაბამისად, რუსეთ-საქართველოს რკინიგზის ამოქმედებას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ იქნება ტვირთების თავისუფალი გადაზიდვა, როგორც რუსეთისა და სომხეთისთვის, ისე საქართველოსთვის. ამასთან, პოზიტიურად უნდა გადაწყდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების თავისუფალი გადაადგილების საკითხი.

აპრილში, ქ.რიგაში ევროკავშირის სამიტზე უნდა განიხილონ ევ-

როკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების საკითხი, ამ უფლებით აფხაზებსაც შეუძლიათ ისარგებლონ. თუკი, მაგალითად ისინი დათანხმდებიან საქართველოს მოქალაქეებისთვის თავისუფალი სატრანზიტო კორიდორის შექმნას. ასეთ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას შეუძლია მოიტანოს არა მარტო დადებითი ეკონომიკური შედეგები (შემოსავლების ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ტვირთების ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება, ტურისტული პოტენციალის გააქტიურება და ა.შ.), არამედ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა და სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება, მაგრამ, ამ საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა ყველა დაინტერესებული მხარის პოლიტიკური ნება.

რუსეთის ახალი პროექტების მიმართ სკეპტიკური განწყობა და უნდობლობა

რუსეთის მიერ პრეზენტირებული ეკონომიკური პროექტები, რომელიც სამხრეთ კავკასიას ეხება, ხშირ შემთხვევაში ამ რეგიონის პოლიტიკოსების გაკვირვებას და უკმაყოფილებას იწვევს. ასეთი პროექტების სიიდან ერთ-ერთია დაღესტნის გავლით, რუსეთ – საქართველოს დამაკავშირებელი ავარო-კახეთის 83 კმ. გზა, რომელიც ითვალისწინებს 25 ხიდისა და 5 გვირაბის მშენებლობას.

რა სარგებელსა და საფრთხეს შეიცავს ეს პროექტი? ჩნდება შეკითხვები – რისთვის გახდა საჭირო ამ გზის მშენებლობა ქართული მხარის ინფორმირების გარეშე და რა სარგებელის მოტანა შეუძლია მას, მითუმეტეს როდესაც არსებობს საქართველოს სამხედრო გზა, – ოფიციალური გამშვები პუნქტი „ზემო ლარსში“ და გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთზე გამავალი გზა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში შემოდის რუსეთის მიერ კონტროლირებადი როკის გვირაბის გავლით?

ეკონომიკური თვალსაზრისით ავარო-კახეთის გზის მშენებლობა გამართლებულია, რადგან მომგებიანი იქნება საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის ეკონომიკური ურთიერთობისათვის, თუმცა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით ის გარკვეულ რისკებს შეიცავს.

ეს და მრავალი სხვა შეკითხვა ჩნდება იმიტომ, რომ სუსტია კავშირები, სახეზეა დიალოგის და ეკონომიკური პროექტების ერთობლივი

მართვის გამოცდილების დეფიციტი. რუსეთი ხანდახან ცალმხრივად წყვეტს იმ საკითხებს, რომელიც სამხრეთ კავკასიას ეხება. მიზანშეწონილია, რომ მსგავსი პროექტები კონსტრუქციული დიალოგის ჭრილში იყოს გადაყვანილი.

ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობები

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მაგისტრალური მილსადენები, რუსეთს სომხეთთან და შემდეგ ირანთან აკავშირებს, ხოლო კასპიის გაზსა და ნავთობს თურქეთს აწვდის. აქტუალურობა არ დაუკარგავს „ნოვოროსისკი – სოხუმი – ფოთი – ბათუმის“ ნავთობსადენის პროექტსაც, რომლის აფხაზეთზე გაყვანის შესაძლებლობაც არსებობს. მსგავსი გეოპოლიტიკური პროექტების არსებობა ხელს შეუწყობს სტაბილურობას მოცემულ ტერიტორიებზე. პროექტს ჯერ კიდევ 90-იან წლებში განიხილავდნენ, მათ შორის, მსოფლიო ბანკის დონეზეც, თუმცა მაშინ საქმე ზონდაჟის იქით არ წასულა.

საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გახდეს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო შემაკავშირებელი რგოლი რუსეთის – სომხეთთან და შემდეგ – ირანთან. მოცემული სატრანსპორტო კორიდორი – „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ ბუნებრივად გულისხმობს მასში რუსეთის მონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ ამუშავდება საბორნე კავშირი ქართულ პორტ ფოთსა და რუსულ პორტ კავკაზს შორის და აღდგება საქართველო -რუსეთის სარკინიგზო კავშირი, შესაძლებელი გახდება რუსული ენერგომატარებლების ევროპაში ტრანსპორტირების პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრა.

პოლიტიკური უთანხმოებიდან გამომდინარე, საქართველომ საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი, მხოლოდ კასპიის (აზერბაიჯანი) გაზის მოხმარებით გადაწყვიტა, რამაც აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს ბაზრის სრული მონოპოლიზირება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ენერგორესურსების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, რუსული გაზის საკითხი კვლავ რჩება მოლაპარაკებების საგნად.

ენერგეტიკულ სფეროში რუსეთსა და საქართველოს თანამშრომლობა, ძირითადად შედგება რუსული ინვესტიციების განთავსებით

საქართველოს ენერგეტიკის სტრატეგიულ ობიექტებში.[6] ასევე, შესაძლებელი გახდა კოოპერირება ელექტროენერგიით ვაჭრობის საკითხში. საქართველო რუსეთს ზაფხულის პერიოდში, დღე-ღამის განმავლობაში თითქმის 3.5 მლ.კვ ელექტროენერგიას აწვდის, ზამთარში კი – უკვე რუსეთი აწვდის იგივე რაოდენობის ენერგიას და სხვათაშორის ორჯერ უფრო მაღალ ფასში. რუსეთ-საქართველოს შორის კოპერირების პრინციპით იმართება ენგურჰესი, რომლის ოპერირებასაც „ინტერ რაო“ ახორციელებს. სადგურისთვის წყლის მიმწოდებელი კაშხალი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა განლაგებული, ხოლო აგრეგატები და ტურბინები აფხაზეთის ტერიტორიაზეა დარჩენილი, ელექტროენერგიის მიწოდება აფხაზეთში უფასოა. ამ პროექტების არსებობა ცხადყოფს, რომ ენერგოსექტორში თანამშრომლობის გაფართოება ბევრად უფრო რენტაბელური და ხელსაყრელი იქნება ორივე მხარისათვის.

დასკვნა და რეკომენდაციები

ვაჭრობის განვითარებაში არსებული გარკვეული წინსვლის მიუხედავად, აუცილებელია მოლაპარაკებების გაგრძელება საბაჟო კავშირისა და ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების თანხვედრაში მოსაყვანად, მათი ჰარმონიზაციისა და ბიზნესმენებისთვის რისკების შემცირების მიზნით. პერსპექტივაში ეეკ-ს და DCFTA ქვეყნების სავაჭრო რეჟიმების თანხვედრა საჭიროა არამარტო რუსეთსა და საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებში, არამედ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებშიაც, რაც ხელს შეუწყობს მთელი რეგიონის მასშტაბით გრძელვადიანი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციას.

საქართველოდან საექსპორტო პროდუქტების ნუსხის გაზრდა სისტემატური მოლაპარაკებების თემა უნდა გახდეს. სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესებას ალტერნატივა არ აქვს. ამ კონტექსტში აქტუალურია რუსეთ-საქართველოს ბიზნესფორუმების გამართვა, რადგან ეს პროცესი საერთო ინტერესების დაახლოებას შეუწყობს ხელს.

---

[6] მაგალითად რუსული კომპანია «Интер РАО ЕЭС“ (ИНТЕР РАОЭС) არის რამოდენიმე ექლექტრო სათბურის მფლობელი მათ შორის ენერგობლოკისა («Мтквари Энергетика“), აგრეთვე ფლობს სადისტრიბუციო კომპანია „თელასის“ აქციების 75 %.

ახალი ეკონომიკური პროექტები და ეკონომიკური თანამშრომლობა განამტკიცებს ნდობას და შექმნის შესაძლებლობას „ინტეგრაციისა და კოოპერირების“ მეშვეობით შეიცვალოს ურთიერთობები საქართველოს „დეპრესიულ რეგიონებში“. ეს კი, ხელს შეუწყობს კავკასიაში ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების რეალიზაციას.

ეკონომიკური ინტერესები შეიძლება გახდეს პრიორიტეტული, განვითარდეს ვაჭრობა და მოხდეს ინვესტირება მეგაპროექტებში აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ. ასეთი ტიპის აქტივობა შესაძლებელია ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიზაციისა და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტისგან დამოუკიდებლად. ერთობლივი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციის ფართო შესაძლებლობები საქართველოში, მათ შორის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, საკმაოდ კარგი ალტერნატივაა რეგიონში დღეს არსებული უნდობლობისა და დაძაბულობის ესკალაციის წინააღმდეგ.

ანდრეი სუშენცოვი

ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებში

2013-2014 წლებში ქართულ – რუსული სავაჭრო ურთიერთობებში განსაკუთრებული ზრდის ტემპი შეიმჩნევა, რამაც 2014 წლის მონაცემებით 852,6 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.ბოლო 15 წლის განმავლობაში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია – სახელმწიფოთა შორისვაჭრობას ამ ნიშნულისთვისრუსეთის მიერ 2006 წელს დაწესებულ სავაჭრო ემბარგომდეც კი არ მიუღწევია.ამასთან, საქართველოდან რუსეთში საქონლის ექსპორტმა განაახლა ისტორიული მაქსიმუმი – 275 მლ აშშ დოლარის ოდენობით, ვაჭრობაში მზარდი ტენდენცია შენიშნება.

2014 წელსრუსეთი მესამე ადგილსდაუბრუნდა, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითად პარტნიორებს შორის, საერთო წილით – 7,4%. 2014 წელს საქონელბრუნვამ ქვეყნებს შორის 9,5% შეადგინა (ცხრილი 1).

2013 წელთან შედარებით ექსპორტის მოცულობამ საქართველოდან რუსეთში 2014 წელს მოიმატა 44,2% (84,3 მლ. დოლ) და 275 მლ აშშ დოლარი შეადგინა (საქართველოს ექსპორტის 9,6 %).

ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის სტრუქტურა ასე გამოიყურება – ჭვავი და ნავთობი რუსეთიდან, საქართველოდან გაგზავნილი ღვინისა და მინერალური წყლის სანაცვლოდ (ცხრილი 2).

2014 წელს გაორმაგდა ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი რუსეთში, ხოლო სპირტიანი სასმელების – გასამმაგდა. ამავდროულად, ორჯერ შემცირდა მეორადი მანქანების ექსპორტი.

გარდა ამისა, მცირედ შემცირდა საქართველოშირუსული საქონლის საერთო ექსპორტი (2% -ით). რუსეთიდან იმპორტმა 2014 წელს შეადგინა 578მლ აშშ დოლარი (საქართველოში ექსპორტის მოცულობის 6,7 %) (ცხრილი 3).

ცხრილი 1
საქართველოს ძირითადი პარტნიორები 2014 წელს

	Exports		Imports		Turnover	
	Thsd. US Dollars	Share in total (%)	Thsd. US Dollars	Share in total (%)	Thsd. US Dollars	Share in total (%)
Total	**2 861 191,0**	**100,0**	**8 596 270,0**	**100,0**	**11 457 461,0**	**100,0**
of which:						
Turkey	239 313,3	8,4	1 727 420.4	20.1	1 966 733.7	17.2
Azerbaijan	544 418,9	19,0	637 592.2	7.4	1 182 011.1	10.3
Russia	274 963,6	9,6	577 713.4	6.7	852 677.0	7.4
China	90 392,8	3,2	732 958.9	8.5	823 351.7	7.2
Ukraine	140 212,6	4,9	546 138.0	6.4	686 350.6	6.0
Germany	69 141,6	2,4	465 853.3	5.4	534 994.9	4.7
Armenia	288 244,4	10,1	210 312.7	2.4	498 557.2	4.4
United States	207 583,4	7,3	287 269.0	3.3	494 852.4	4.3
Bulgaria	164 090,2	5,7	209 773.6	2.4	373 863.8	3.3
Japan	3 285,0	0,1	368 173.8	4.3	371 458.8	3.2
Other countries	839 545,3	29,3	2 833 064.5	33.0	3 672 609.9	32.1

*Preliminary data.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ოფისის მონაცემები – External Trade of Georgia in 2014. National Statistics Office of External Trade of Georgia in 2014. National Statistics Office of Georgia. January 21, 2015. URL: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/bop/FTrade__2014_ENG.pdf.

ცხრილი 2

2013 – 2014 წწ. რუსეთში ქართული ექსპორტის სასაქონლო პოზიციები

	2013		2014*	
	Thsd. US Dollars	Tons	Thsd. US Dollars	Tons
Total Exports	**190 703,0**		**274 963,6**	
Of which:				
Wine of fresh grapes	56 435,9	15 513,4	111 425,2	28 578,9
Waters, natural or artificial mineral and aerated waters	33 743,6	31 813,7	66 381,3	66 087,4
Undenatured ethyl alcohol, spirits, liqueurs and other spirituous beverages	4 703,4	612,5	17 552,8	2 651,0
Ferro-alloys	13 152,3	12 847,0	16 885,5	16 702,3
Motor cars (units)	32 290,6	2 726	16 433,3	1 533
Other commodities	50 377,3		46 285,5	

*Preliminary data.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ოფისის მონაცემები – External Trade of Georgia in 2014. National Statistics Office of Georgia. January 21, 2015. URL: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/bop/FTrade__2014_ENG.pdf.

ცხრილი 3

2013 – 2014 წწ რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული ძირითადი სასაქონლო პოზიციები

	2013		2014*	
	Thsd. US Dollars	Tons	Thsd. US Dollars	Tons
Total imports	**587 757,4**		**577 713,4**	
Of which:				
Wheat and meslin	138 657,5	492 346,0	132 416,6	497 235,6
Petroleum gases and other gaseous hydrocarbons	52 679,0	149 591,5	75 265,9	196 884,8
Petroleum and petroleum oils	113 939,3	118 026,4	47 686,5	51 528,1
Electrical energy (Thsd. kilowatt-hours)	28 768,9	460 546	41 622,0	641 435
Chocolate and other food preparations containing cocoa	19 532,8	3 766,8	17 082,3	3 886,8
Other commodities	234 179,9		263 640,1	

*Preliminary data.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ოფისის მონაცემები – External Trade of Georgia in 2014. National Statistics Office of Georgia. January 21, 2015. URL: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/bop/FTrade__2014_ENG.pdf.

მესამედით გაიზარდა რუსული ბუნებრივი აირის მოცულობა – 75, 3 მლ. დოლარამდე და ელექტროენერგიის – 41,6 აშშ დოლარამდე. ამასთან, ორჯერ და მეტად დაეცა რუსეთიდან ნავთობის იმპორტის მოცულობა, უმნიშვნელოდ იკლომარცვლეულის იმპორტმა.

მიმდინარე სავაჭრო კონიუნქტურის შენარჩუნების შემთხვევაში (ურთიერთობებში გარღვევების არარსებობისა და მათთვის ახალი წინააღმდეგობის შექმნისაგან თავის არიდების შემთხვევაში) რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობის ტემპი გაიზრდება. რუსეთში ქართული საქონლის ექსპორტის ზრდის ძირითადი დრაივერი იქნება: ღვინო, სპირტიანი სასმელები,მინერალური წყლები და ლიმონათი. ძირითადი რუსული საქონლის იმპორტი – ნავთობი, გაზი და მარცვლეული, არსებულ დონეზე შენარჩუნდება, რაც შემდგომ საქონელბრუნვას 10% -მდე გაზრდის.

თუმცა, რუსულ – ქართული ურთიერთობების საერთო ნორმალიზების, ჯანსაღი ეკონომიკური კონტაქტების აღდგენისა და სატრანსპორტო კომუნიკაციის მოდერნიზების გარეშევაჭრობა განსაკუთრებულ შედეგებს ვერ მოგვცემს. საქმე ისაა, რომ რუსეთში საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ძირითადი რესურსი შესაძლებლობების ზღვარზეა – ღვინის მწარმოებლებს ელევათ სარეწი მასალა, მინერალური წყლის მწარმოებლები უჩივიანრუსეთში გადაზიდვების სიძვირეს. უსაფუძვლოა ველოდოთ რუსეთში ქართული სოფლის მეურნეობის ნაწარმის მოწოდების ზრდას – საქართველო თავად ახორციელებს საკვები პროდუქტების მნიშვნელოვან იმპორტს, ხოლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ახალი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეზულტატი რამდენიმე წელიწადში იქნება.

ამ შეზღუდვებს ემატება რუსეთსა და საქართველოს შორის „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ მოქმედების შეწყვეტის პერსპექტივა. რუსეთში შესაბამისი აქტის მიღების შემდეგ ქართველი ექსპორტიორები იძულებული გახდებიან, გადაიხადონ სპეციალური ბაჟი. ქართველი ექსპერტების შეფასებით, რუსეთის ბაზარზე ქართული საქონლის ღირებულება შესაძლოა 20-30 % -ით გაიზარდოს.

საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება ემზადება რუსეთის ამ ნაბიჯისთვის. ამასთან დაკავშირებით, პრემიერ- მინისტრის საგანგებო წარმომადგენელმა განაცხადა: „რუსეთი ანალოგიურად უკვე მოიქცა უკრაინასა და მოლდავეთთან მიმართებაში.შესაძლოა დაზარალდეს ჩვენი ბიზნესმენების ნაწილი, მაგრამ მთლიანად საქართველოსთვის

ეს ტრაგედია არ იქნება. ჩვენც, რუსეთიც ვართ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მვო) წევრები და ამიერიდან ვივაჭრებთ ამ ორგანიზაციის წესების შესაბამისად. ისევე როგორც სხვა სახელმწიფოები იქცევიან რუსეთთან მიმართებაში."

როგორც ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა აღნიშნავს, იმპორტის გადასახადი „მტკივნეულ დარტყმას" მიაყენებს მეღვინეებსა და გლეხებს.სიგუას პროგნოზით „თავისუფალი სავაჭრო ზონის" გაუქმება გამოიწვევს რუსეთში ქართული ექსპორტის ორჯერ შემცირდებას,სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაძვირებისა და გადასახადის შემოღების გამო. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილის პროგნოზით, პროდუქციის ფასი 20-30 % გაიზრდება.[1]

საქართველოში ბევრი ვარაუდობს, რომ შესაძლოა რუსეთმა ისევ შემოიღოს ემბარგო, როგორც ეს 2006-2013 წწ. გააკეთა. ტექნიკურად ეს შესაძლებელია, ვინაიდან „მვო"-ში შემავალი ქვეყნებისთვის მოქმედებს რეჟიმი, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ შეზრუდონ იმპორტი, სხვადასხვა რეგულაციით (ფიტოსანიტარული კონტროლი, სავეტერინარო ზედამხედველობა, სანიტარულ – ეპიდემიური კონტროლი, კვოტირება და სხვ.). სხვათაშორის, 2006 წელს ემბარგოს შემოღებას ხელი ვერ შეუშალა ორ ქვეყანას შორის არსებულმა „თავისუფალი ვაჭრობის ზონამ". თუმცა, ემბარგოს შემოღება შესაძლებელია გამოწვეული იყოს მხოლოდ ისეთი პოლიტიკური პრობლემებიდან გამომდინარე, რომელიც ხელს უშლიდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, ისე როგორც მ. სააკაშვილის მმართველობის დროს.

რუსეთსა და საქართველოს შორის 2015 წელს დაგეგმილი სავაჭრო რეჟიმის ცვლილებების შესახებ

რუსეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აქამდე მოქმედი შეთანხმება 1994 წლის[2] 3 თებერვალს იყო ხელმოწერილი. იგი გულისხმობდა რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული საქონელის იმპორტსა და ექსპორტზე საბაჟო მოსაკრებ-

[1] *Вигнанский М.* Грузия прогнозирует потери от введения пошлин РФ // Российская газета. 31 июля 2014 года. URL:http://www.rg.ru/2014/07/31/gruziya-site.html.

[2] Соглашение между Правительством Российской Федерации и Правительством Республики Грузия о свободной торговле. 3 февраля 1994 года.URL: http://www.mid.ru/bdomp/spd_md.nsf/0/3904417FCDDD529543257DEA0045BC53

ლების და გადასახადების გაუქმებას.თავისუფალი ვაჭრობის მოქმედების ზონის შეწყვეტის შემდგომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო რეჟიმი „მვო“-ს ნორმებით განისაზღვრება. საქართველოს მონაწილეობა „ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში“ და რუსეთის „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი“-ს წევრობა არ იმოქმედებს ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების ლოგიკაზე, ურთიერთობები კი „მვო“-ს – ნორმების თანახმად წარიმართება.

მოცემული ტექსტის გამოქვეყნებისთვის, რფ მთავრობის დადგენილება – „რუსეთის ფედერაციის მთავრობას და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დადებული შეთანხმების შეჩერების შესახებ“, იუსტიციის სამინისტროში გადიოდა ექსპერტიზას[3].

დადგენილების მიღების ხანგრძლივმა პროცედურამ, მრავალსაფეხურიანი ექსპერტიზის გავლის აუცილებლობამ, საქართველოში დაინტერესებული ადამიანების დეზორიენტაცია მოახდინა,ზოგიერთმა ჩათვალა, რომ საკითხი საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან, მაგ.:საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ 2014 წელს სექტემბერში ასე განაცხადა: „ეს ხელშეკრულება („თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“) დღემდე მოქმედებს. ინფორმაციის გავრცელების შემდეგ (ევროკავშირის თავისუფალ ზონაში საქართველოს შესვლის შესახებ) რუსეთის მხრიდან არანაირი ოფიციალური ნაბიჯები არ გადადგმულა, აქედან გამომდინარე, ჩვენ ისევ გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი“.[4]

ფანჯიკიძემ იმედი გამოთქვა, რომ საქართველო შეძლებს შეინარჩუნოს არსებული სავაჭრო რეჟიმი რუსეთთან ევროკავშირის თავისუფალ ზონაში ყოფნის დროსაც: „ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ საქართველო იყოს წარმატებული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება პროდუქტიული თანამშრომლობა. ეს ჩვენი პოლიტიკაა, ჩვენ ვმუშაობთ მისი რეალიზებისთვის, რომ ახალმა რეალობამ, ყოვლის-

---

[3] Постановление Правительства Российской Федерации «О приостановлении действия Соглашения между Правительством Российской Федерации и Правительством Республики Грузия о свободной торговле». URL: http://regulation.gov.ru/project/17102.html?point=view_project&stage=3&stage_id=10957.

[4] Режим свободной торговли между Грузией и РФ продолжает действовать // РИА Новости. 10 сентября 2014. URL: http://ria.ru/world/20140910/1023547655.html.

მომცველმა თავისუფალმა ურთიერთობებმა ევროკავშირთან, არ შეუშალოს ხელი რუსეთთანთავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს“.[5]

დიდი ალბათობით, 2015 წლის ბოლომდე მიიღებენ რფ-ს მთავრობის დადგენილებას, საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.ამასთან, აღსანიშნავია, რომ მთავრობის დადგენილება გულისხმობს არა ხელშეკრულების გაუქმებას, არამედ დროებით შეჩერებას. „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ ხელშეკრულების შეჩერება გამოიწვია საქართველოს გაწევრიანებამ „ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში“ დასაქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციამ. მოცემული შეთანხმების უმეტესი წილი, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ჩათვლით, 2014 წლის 1 სექტემბერიდან შევიდა ძალაში.

რუსეთსა და საქართველოს შორის „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ გაუქმებიდან გამომდინარე, ორივე ქვეყნის საქონელი იმპორტისთვის დაწესებული წესით დაიბეგრება. ქართველი მეწარმეებისთვის დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) მიმდინარე დონეზე – 18% შენარჩუნდება, ისე როგორც აქციზური მოსაკრებელი ალკოჰოლურ პროდუქციაზე.

ძირითადი ცვლილებები შეეხება იმპორტის საბაჟო გადასახადს, რისი გადახდაც ამიერიდან მოუწევთ ქართველ ექსპორტიორებს და რომლის ოდენობაც სხვადასხვა საქონელზე შესაბამისად განისაზღვრება.

საიმპორტო საბაჟო გადასახადის შესახებ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია რფსა იმპორტო საბაჟოს საინფორმაციო საიტზე (http://www.tks.ru/db/tnved/tree.), რომელიც მოიცავს სასაქონლო ნომენკლატურას საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ.

რუსეთში ქართული ექსპორტის ძირითადი სასაქონლო პოზიციებისთვის განკუთვნილი იმპორტის საბაჟო განაწესი (ზომა, რაოდენობა)

სასაქონლო პოზიცია	იმპორტის საბაჟო გადასახადი
ცქრიალა ღვინოები	16,3%
ყურძნის ნატურალური ღვინო	16,3%

[5] Тамже.

სასაქონლო პოზიცია	იმპორტის საბაჟო გადასახადი
ვერმუტი და ყურძნის ნატურალური ღვინოები მცენარეული და არომატული ნივთიერებებისდამატებით	16%
მინერალური წყლები	15 %, არა უმეტეს 0.07 ევრო/ლ
ლიმონათები	8%, არა უმეტეს 0/024 ევრო/ლ
სპირტიანი სასმელები	1,6 ევრო/ლ
ფეროშენადნობები	5%
მეორადი ავტომობილები	დამოკიდებულია ძრავის სიძლიერესა და ექსპლუატაციაზე (1,6ევრომდე/3სმ 1500-1800 3 სმ სიმძლავრის მანქანაზე და არა უმეტეს 7 წლის გამოშვების თარიღისა)

რუსეთის საბაჟო პორტალის მონაცემები www.tsk.ru

რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო რეჟიმის ცვლილებების მიღმა 2015 წელს ნეგატიური ტენდენციების ზემოქმედებაცაა მოსალოდნელი – რამდენიმე პუნქტით რუსეთის მშპ-ს ვარდნა და მანეთის კურსისორმაგი დევალვაცია. ეს პროცესი აუცილებლად გამოიწვევს რუსეთიდან საქართველოშიფულადი გზავნილების მოცულობის შემცირებას. ქართული გამოცემა „ფაინენშელ"-ის თანახმად, ფულადი გზავნილების რაოდენობა 2014 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში, 5%-ით დაეცა, ანუ 20 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა – 508 მლ-დან 486 მლ. აშშ დოლარამდე[6]. მაღალი ალბათობით, ეს ტენდენცია შენარჩუნდება 2015 წელსაც – გზავნილების მოცულობა 10% შემცირდება. ასევე შემცირდება ფულადი გზავნილებიუკრაინიდან საქართველოში. 2014 წლის განმავლობაში მისი მოცულობა 20% -მდე დაეცა – 25,5 მლ დოლარიდან 20 მლ აშშ დოლარამდე[7].

ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების პერსპექტივა

დიდი პოტენცალის შემცველია რუსეთ -საქართველოს ერთობლივი პროექტები წარმოების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შე-

[6] *Gasanova M.*Remittances Flow from Russia to Georgia Continues to Decline // The FINANCIAL. September 29, 2014. URL: http://finchannel.com/index.php/world/georgian-news/item/39006-remittances-flow-from-russia-to-georgia-continues-to-decline.

[7] Там же.

ქმნისა და მოდერნიზაციის მიმართულებით. ამ ეტაპზე ყველაზე მსხვილი დავით იაკობაშვილის კომპანიის Petrocas Energy Limited -ის მიერ განხორციელებული პროექტია, რომელიც გულისხმობს ქ. ფოთში მაღალტექნოლოგიური სანავთობე ტერმინალისგანვითარებას.

2014 წელს რუსულმა კომპანია „როსნეფტ"-მა შეიძინა დ. იაკობაშვილის კომპანიის აქციების 49% და გახდა მისი მთავარი ინვესტორი. ამ შეთანხმების შედეგად, იგეგმება საქართველოს ეკონომიკაში 200 მლ აშშ დოლარის ინვესტირება, რაც უზრუნველჰყოფს 1000 – მდე სამუშაო ადგილის შექმნას. მიუხედავად თბილისში ამ პროექტის ირგვლივ გაჩაღებული პოლიტიკური დისკუსიისა, უდავოა მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

უმსხვილესი რუსული ნავთობკომპანიის საქართველოში შემოსვლადადებით პოლიტიკურსიგნალს შეიცავს. ეს ნიშნავს, რომ მსხვილი რუსული ბიზნესი, რომელშიც დიდია სახელმწიფო წილი, არ ელოდება გართულებებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

ჯერ-ჯერობით ღიად რჩება საკითხი რუსეთსა და საქართველოს დამაკავშირებელი ე.წ. აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის თაობაზე. რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელობას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ პოლიტიკური კომპრომისის მიღწევის შემთხვევაში, კომპანია მზადაა სარეაბილიტაციო სამუშაოები აწარმოოს და შეასრულოს სარკინიგზო გადამზიდავის ფუნქცია. თუმცა, 2015 წლის ბოლომდეამ საკითხის გააქტიურება სავარაუდო არ არის.

ამრიგად, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური კავშირები დამოკიდებული ხდება ისეთ საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ არ ეხება ორმხრივ ურთიერთობებს. ამ ეტაპზე რუსეთი და საქართველო არ ააქტიურებენ პოლიტიკური უთანხმოების საკითხებს, თუმცა, არც ორმხრივი ურთიერთობების პრიორიტეტულობას განიხილავენ.ეს ხელს უშლის მათ შორის სრულფასოვანი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმატის შექმნას. ორ ქვეყანას შორის „თავისუფალი სავაჭრო ზონის" ხელშეკრულების შეწყვეტის მიუხედავად, ეკონომიკური ურთიერთობების ტემპის ზრდის ტენდენცია შეინიშნება. რუსეთის მსხვილი კომპანიებისმხრიდან საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციებისადმი ინტერესის დაბრუნება გარკვეულ სიგნალს შეიცავს და ორიენტირებულია თანამშრომლობის გაფართოებაზე.

მიხეილ თოქმაზიშვილი – წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. 2000 წლიდან 2010 წლამდე სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ცენტრი (პოლონეთი), საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. 1996-2004 წლებში საქართველოს პარლამენტის მაკროეკონომიკის განყოფილბის ხელმძღვანელი. სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი თემებზე: ეკონომიკური პოლიტიკა, მაკროეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, ფინანსური და სოციალური ურთიერთობები.

ანდრეი სუშენცოვი – რუსი პოლიტოლოგი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ამერიკანისტი. დაიბადა 1983 წელს ორენბურგში. დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი („აშშ-ის პოლიტიკური სტრატეგია საერთაშორისო კონფლიქტებში 2000-იან წლებში ავღანეთისა და ერაყის მაგალითზე", 2011).
2006 წლიდან – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის (უნივ.) საერთაშორისო პრობლემების გამოყენებითი ანალიზის კათედრის უფროსი მასწავლებელი. 2007 წელს – ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის (აშშ) მიწვეული მკვლევარი, 2008 წელს – ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) მიწვეული მკვლევარი.
ავტორი მონოგრაფიისა „აშშ-ის მცირე ომები. აშშ-ის პოლიტიკური სტრატეგია ავღანეთისა და ერაყის კონფლიქტებში". მ.: ასპეკტ-პრესი, 2014. საერთაშორისო კვლევების ასოციაციის (აშშ) წევრი. რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების მომავალზე მომუშავე ჯგუფისა და რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებზე ახალგაზრდა ექსპერტებისთვის გამართული დარტმუტის დიალოგების მონაწილე.